

გვერდი



სამეცნიერო და სალიბერატურო ნახაბიანი გაზეთი. გამომდის ყოველ კვირა დღეს.

№ 4.

იანვრის 24. 1893 წ.

№ 4.

გაზეთის ფასი წლიურად: ტფილისში 7 მან., ტფილის გარეშე 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 3 მან. თითო ნომერი ღირს აბაზად. მსურველთ შეუძლიან გაზეთის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ რედაქციასთან შეთანხმებით.

გაზეთის დაბარება შეიძლება ჯერჯერობით შემდეგის ადგილებიდან: წერა-კითხვის საზოგადოების კანკლარიიდან*, (ტფილისი, ბანკის ქარვასლა) ქართულ ბიბლიოტეკიდან (ტფილისი ბანკისავე ქარვასლა) და „ჯეჯილის“ რედაქციიდან. ფოსტის ადრე-სი: *Въ Тифлисе, Въ Редакцію «Днедний» и «Квали»*. განცხადება გაზეთში დასაბეჭდად მიიღება რაგორც ქართულს, ისე სხვა ენებზედ. ფასი განცხადებისა სტრიქონზე 5 კაპ.

შინაარსი: — 1, თემურ ლენგის ტყვე, აკაკისა. — 2, სწორიდან სწორამდე. — 3, ჩემს მეგობარს ლექსი, დ. მეგრელისა. — 4, წერილი ამბები. — 5, თეატრი. — 6, თოფისა და წამლის შემოღებასა ქართველში. — 7, * ლექსი დეტუ მეგრელისა. — 8, ფერდინანდ ლესკსი, გ. წერეთლისა. — 9, ისტორიული საკითხავები. — 10, თამარის საყდარი, ი. მ. — 11, სამი წამი, გ. კ. — შეილისა.

თეჰურ-ღეგვის ტყე

(მიბაძე)



ულ-დაღალული, დამწვარი,
მეფის ტყეობის მწახველი,
ტყეობაში შოფ კოლ-შეილსა
ეკითხებოდა ქართველი:

„მითხარით, რა გადურჩინეთ
სამშობლოს აოხრებულსო,
როდესაც თემურ-მძეინვარე
ფეხით სიფლავდა მის გულსო?“

კოლმა მიუგო: „რაც გეჰანდა
სიმდიდრე ქეშმარტიოა:
ოქრო და ვერცხლი დიდ-ძალი,
თელი და მარგალიტოა.“

„ნუ თუ ეგ არის სიმდიდრე
მაგ შენს გულსა და თელშიო?
ეგ ოქრო ცეცხლში ჩაჰყარე!
თვალ-მარგალიტაც წყალშიო!“

ეს სიტყვა და მიუბრუნდა ქალს:
„შენ მაინც გამახარეო! —
გულმა რა გითხრა, როდესაც
დაავედ ჩენი მხარეო?“

— რა უნდა გითხრა, მამილო!..
დაესწეველე ჩემი ბედო!..
სხვა რა შემეძლო მე იმ დროს
ბედკრულსა ამის მეტოა:

მოესწევიტე ვარდი კოკობი,
სახსოვრად მოვიტანეო;
მისი დამკჷნარი ფურტლები
სრემლებით გადაებანეო.

4783



სწორიდან სწორამდე

— დამკნარი ვარდი, ცრემლებით
 არ განედლებდა... არააა...
 მარტო ცრემლები ქვეყნისთვის,
 საშველად არა კმარაო.

მერე ვაქვს ჰკითხა მოხუცმა:
 „შენ რაღა იცი კარგო?
 რა წამოიღე, მიჩენენ,
 საშვილიშვილო ბარგო?...“

„შვილმა მიუგო: „ხანჯალი,
 სიფრთხილით შენახულიო,
 რომ საიდუმლოდ მონგვალემს,
 გავუბო ხოლმე გულიო!“

— „შემეცარხარ, შვილო! მავითი
 ვერ ნახე გამარჯვებასო:
 რომ ბევრიც მოჰკლა აქ მტერი
 იქ ქართლს ვინ მისცემს შეგებასო?“

რად დაგვიწყდათ სუყველას,
 საუნჯე წმიდა... დიდიო,
 წარსულისა და მომავლის
 სიცოცხლის გზა და ხიდიო:

სად არის ჩენი ჩანგური
 ქვეყნის ჭირი და ღონიო;
 სამშობლოს სისხლი და ზორცი
 მისივე ნაღველ-ტყინიო?

მაშინ მიუგო მკლანამა:
 „გულზე მე დავიკიდეო.
 ვერ გავეყრები, ვინდ მოველო
 ტყეობით კილით-კიდეო!“

ჩემი სამშობლოს სიცილი
 და მისი მწარე კენესაო...
 ორივე ერთად სიმებმა
 შიგ გულში ჩაისკვნესაო.“

სთქვა და ჩამოჰკრა სიმებმა
 ხნას ცას აწედნდა მანგებით...
 და ის ხმა ტყვედ ქმნილს ბაგრატსაც
 მოესმა ღვთისა განგებით...

მოესმა: „ბაგრატ, ვახსოვდეს
 შენი სამშობლო ტკბილიო!
 ვინც სულს არ სწირავს სამშობლოს,
 არ ეთქმის ქვეყნის შვილიო!“

მაშინ სთქვა ბაგრატ: „ჰე, ღმერთო!
 აქ იყავ ნება შენოა...
 მე სულს ვაქსწირავ, მაგრამ შენც
 სამშობლო დამიხსენიო.“

ხოლერა და კალია.—სამეურნეო სახოგადობა და მე-
 ბღელთა სკოლა.—ვანოლოვის მინისტრის ცირკულიარი.
 —ტელიოსის საბჭოში.—ტბები ტფილისის ვარშეშეო.—
 ძალა აღმართა მწნავს, მაგრამ უძღურებამ რა ჰქმნას?



ჩვენდელს ზამთარს, რომლის ბადალი ყინ-
 ვა-სუსხით თითქმის ამოკე წლის განმავლობაში
 არა ყოფილა არც ჩენში და არც სხვათა
 ქვეყანაში, ცოტა კბილი მოეჭრა. ოთახებში შემწყე-
 დეულნი, ქარ-ბუქით ილაჯ-გაწყვეტილნი და სახლებ-
 ში თოვლით გადაღვსილნი გამოეძვებებნენ ნელ-ნელა
 გარედ და მიეცემით გაზაფხულის ღოდინს და გა-
 ზაფხულის შრომას. საამაო, როცა კაცი ყინვა-სიცი-
 ეში იგონებს თბილ გაზაფხულს, მთებადან შვიან
 დღეში ჩამოშქეფარე გამდნარ თოვლის ნაკადულებს
 და აქა-იქ კრძალოვით თოვლ-ქვეშადამ ამომხიზრალ
 მიწდერის პირველ ყუვილებს, მაგრამ ისიც ნუ და-
 გვაგიწყდება, რომ ამ საამო სურათებს თან მოსდევს
 ლანდი სხვა-და-სხვა ავის სენისა, ავის მწერისა. კა-
 ლიამ დიოზამთრა, ხოლერამ დიოზამთრა, ოშმა დანა-
 ცარმა დიოზამთრა,—გესმით ყოველი მხრიდან და ზო-
 გიერთი ამ წინასწარმეტყველებათაგანი ყოველ წელი-
 წადს მართლდება. ყველამ იცის, რომ ეს უცანასკნე-
 ლი შეიღირვა წელიწადია ჩენი ხალხი თავ-გამო-
 დებით ეგრძელს ამ პატარა ღირ-მულედა მწერს, რა-
 მელიც ყოველ გაზაფხულზედ მთელს ჩენს მოსაჯელს
 განადგურებას უქადის; ეგრძელს მედგარად, მრავალსა
 ხარჯავს, მრავალსა სცდება, მაგრამ ერთი წლობით
 მაინც ხომ მტერს ამატებს, ღონეს უღვეს, თავის
 სარჩო-საბადებელს იხსნის. იხსნის მხოლოდ ერთის
 წლობით მეთქი, რადგან სამწუხაროდ კალიის სამ-
 შობლო სპარსეთის გაშლილი ცხელი მიწდერებია და
 კაცკისის სამხრეთად მდებარე მულანისა და მილის
 უღაბნოები. ამ მწერს სათავეშივე მოსპობა ეჭირება,
 თუ არ გვინდა, რომ ყოველ წელს აუარებელ შრო-
 მას ვანდამებდეთ ამისთანა დროებით და დაუსრუ-
 ლებელს ბრძოლას. იქნება შემდგომი ვეღირსოთ იმა-
 საც რომ სენს თავი და ბოლო მოუწახანა და ეს
 დაუშრეტელი წყარო ჩენის უბედურებისა დასა-
 წყისშივე მოსპონ, მაგრამ იმ დრომდე მეთი ღონე
 არ არის ყოველ წელს უნდა უმადურად ჰპაანო ეწიოთ
 და დროებით მაინც ავიცილინოთ ხოლმე ეს უღობივლი
 მტერი.

თუ ახლა ამ სწავნზედ ჩამოვადგეთ ღაპარაკი,
 აი რისთვის:

შარშან ზაფხულსაც თუმცა ჩენმა ხალხმა მრავალი
 მსხვერპლი მოიტანა და მოსავალი კალიას გა-
 დაარჩინა, მაინც დღძალი თვისლი დაუღვია ამ გა-
 უმადლარ მწერს ყველგან ჩენს ქვეყანაში; ათასობი-

თა და ათითასობით ანგარიშობენ დღიურ მიწას, სადაც კალიამ თავისი თესლი ჩათესა დიდის უბედურობის მომასწავებლად და თუ წრეთლსაც ხალხმა ისეთივე სიბეჯითე, მუყაითობა და ერთგულობა არ გამოიჩინა ამ საქმეში, შესაძლოა ვახუფტულზედ ისეთი მები დაგვეცეს, რომლის მშვაკისი დიდხანა ჩვენს ქვეყანას არ მოვლენია. წრეთლობით უფრო იმიტომ ეწოშობთ, რომ შესაძლოა კალიასთან ერთად ზოლურაც გვეწვიოს და ზოლურობის დროს ვიი თუ ეე-ღარც მთავრობამ, ვეღარც ხალხმა ვეღარ დაუღღს გული მორც სენთან ბრძოლას, რომელიც წამდილო სიმშობლას გვიქაღის და სიმშობლასთან ერთად ისეთი ზოლურის უარესად გაძლიერებას. ამ სახით ეს ორი მძლავრი მტერი ერთი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და როცა ერთს ეგზრძითე, მეორეც არ უნდა დაგვივიწყდეს. თამამად ვიტყვი, რომ ზოლურა ისე საშიში არ არის, როგორც კალია, თუ ამ უკანასკნელს თავისუფალი მოედანი დავუთმობ და შესაფერი ღონისძიება არ ვიხმარებ იმის გასაქოლად ზოლურა, იმედია, ესლა ისე საშიში აღარ იქნება ჩვენის ქვეყნისათვის; მასთან ბრძოლას ისე უთავბოლო ხასიათი აღარ ექნება, როგორც ზოგან წარსულ წელსა და ესლავეც შეუღღენ ამისთვის ზრუნვას: პეტერბურგში ორასზედ მეტი ექიმი შეკრება ამ საქმის განსახილავად; თებერვალში კავკასიის მკურნალნიც მოგროვდებიან ტფილისში და რაიმე ღონეს იღონებენ, გამორკვეულს პროგრამას, წესსა და რიგს მოგვეცემენ სახელმძღვანელოდ; ტფილისშივე მთელის კავკასიის გუბერნატორებმა მოიყარეს თავი ვანგებ ამ საქმეზედ მოსალაპარაკებლად; ტფილისის პოლიცემისტრებმა კიდევ ცხლავ სასტრუქო ბრძანება ვასკა თავის ხელქვეითებს,—თებერვლის 25-მდე დაუარონ სათითაოდ სახლებს და პატრონებს დააწმენდინონ, დაასუფთავებინონ, რომ თოვლქვეშ თუ საძმე ზოლურის ბაცილებს დაებუღნათ, ვიზავე ბოლო მოვიღოთ,—ერთისი სიტყვით იმედი არის რომ, თუ ჩვენ ქვეყანაში წრეთლსაც ვაჩნდა ზოლურა, მასთან ბრძოლა უფრო დამშვიდებული, უფრო რიკიანი და თავბოლო-ვაგობამული იქნება. მაგრამ ნურც მთავრობა და ნურც ხალხი ნუ დაივიწყებს, რომ ერთმა საქმემ მორც არ უნდა დაგვივიწყოს, უკან არ უნდა დაგვიყენებინოს; მორც საქმე, არა ნაკლებ სამიშია, არა ნაკლებ პასუხ-საგებია, არა ნაკლების უბედურების მომასწავებელი.

* * *

სამეურნეო საზოგადოება... საბალონო სკოლა... დაწმენებული ვართ, ზოგიერთი მკითხველი ვერც კი გვიგებს, ეს რა საგნებია და რაზედ გვინდა ლაპარაკი. მაგრამ ამ სიტყვებმა ახალს ქართულში ფეხი მოიკიდეს და ჩვენც იმათ გვერდს ვერ ავეულებით. სამე-

ურნეო საზოგადოება იმისთანა საზოგადოებაა, როგორც მელსაც მართლა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჩვენის ქვეყნისთვის, იმის გულს უნდა შეადგენდეს, იმის მარჯვენას ხელს უწყობდეს, შველის უწევდეს. ჩვენი ქვეყანა უფრო მზენდელ-მთესველია, უფრო მამულის მომწველია და ნახსენები საზოგადოებაც მამულის მოვლაზედ უნდა ზრუნავდეს, მისთვის უნდა იღწეოდეს, საშავალითა მამულის პატრონთ აჯღილებდეს, ზარმაცებს ახალისებდეს; სხვა-და-სხვა მანე და მახარალბელ მოვლენათ თავიდან აცილებდეს. ეს საზოგადოება წელიწადში მთავრობისაგან 6000 მანათს შემწეობას იღებს, ჰყავს მრავალნი წყერნი, რომელნიც წელიწადში თითო თუმანს იხდიან საწყეროს, აქვს საკუთარი შენობა ტფილისში, შუაგულ ქალაქში, ჰყავს საკუთარი თავმჯდომარე, იმის ამხანაგი, რჩევა და მდივანი. ჩვენ და სამწესხაროდ და სამარცხენოოდ ეს საზოგადოება, რომელიც ფრიალ სასარგებლო უნდა იყოს და ნაყოფიერი, თითქმის უნაყოფო და უსარგებლოა მხოლოდ ჩვენისავე დაუღვერობის წყალობით. ბევრი წვერი ჰყავს ამ საზოგადოებას, მაგრამ უფრო ჩინოვნიკები, ეპატორნი, და მამულის პატრონნი კი კრებებში თითო ორალი მოსჩანან. ამის გამო რაც კი სასარგებლო და სანეტაროა ჩვენის ქვეყნისთვის, უყურადღებოდ ჩაიგლის ზოლმე და საქმეები ისე წყდება, როგორც რამდენიმე მოხელე ან ეპატარი მოიწადინებს და მამულის მომწველთა თავად-ახანურთა ხმა კი უქმნად რჩება.

მაგალითისათვის შორს წასვლა არ დაგვიკრძალებს. პარასკევს, იანვრის 15, იყო კრება ამ საზოგადოების საბალონო ანუ მებაღეთა სკოლის გამგეს ამოსახრჩევედ. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ საზოგადოებას აქვს დაარსებული ტფილისშივე, მუშტაიღს ახლო, მებაღეთა სკოლა, საიდანაც სწავლული მებაღეები გამოდიან და ჩვენისავე ქვეყნის შვილნი ამ სკოლაში უკრს-დასრულებული სასარგებლო და ნაყოფიერი შორმას ადგანან, და ბევრნი თვეში სამსოხის თუმანსაც იღებენ ჯამაგირს. დავეთანხმებით, რომ ეს სასწავლებელი უმნიშვნელო არ არის ჩვენს ქვეყნისთვის და მისი ბედი იმის ხელში უნდა იყოს, ვისაც საქმისათვის გული შესტკივა და ვინც ჩვენს მზარესთან დაახლოვებულია, დაკავშირებულია. სამწუხაროდ, ამ სკოლამ აქამომდე სრულად ვერ შეასრულა თავისი დანიშნულება. უწინდელ გამგეს ხელში (ბ. ასტაპოვიჩი) ეს სკოლა საშინელ მდგომარეობაში იყო. სარევიზოო კომისიამ შეამოწმა და დამტკიცა, რომ ბევრი ნაკლულევენება ჰქონდა მას, რაც მის სამუშაოების კვალობაზე შეიძლებოდა არა ჰქონოდა. ამის მიუხედავად მაინც ბოგიერთი ამ სკოლიდან გამომავლით კარგი ალაგები მიიღეს და ვეროიენადაც ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. რა თქმა უნდა, შედგე-

კიდევ ბევრად უკეთესი იქნებოდა, სკოლას რომ რიგინი და გულ-შემატყეარი გამგე ჰყოლოდა.

ძველმა გამგემ სკოლას თავი დაანება და გაიხსნა ეკანსა. ოც-დაათმა პირმა ითხოვა ეს ალაგვი. ზოგი მათგანი ჩვენი ქვეყნის "შეილი იყო და სწავლაც შესაფერი ჰქონდა ჰილენული, მაგრამ სკოლას მზრუნველმა (ბ. დ. ყორღანოვმა, მომრიგებელმა მოსამართლემ), რომელსაც „საზოგადოებამ“ ირჩევს ოც-დაათში ბ. კლაუსენი არჩია. ეს ბ. კლაუსენი ბევრ სასწავლებელში დასწრებდა, ბევრგან უმგზავრობდა, ნებაოლში და სტამბოლშიც ყოფილა და ასე გასიწვეთ, სპარსეთის ორდენიც „ლომისა და მზისა“ მიუღია. საზოგადოებამ მიაქცია ამ მრავალ ღირსებას ბ. კლაუსენისას ყურადღება, მაგრამ გადაწყვეტიდა, ჩვენც უნდა ხმა გექმანდეს ამორჩევაში და ამიტომ მივანდით მზრუნველსა და რჩევას წარმოგვიდგინონ რამდენიმე კანდიდატი და მათში ერთერთს ამოვარჩევთ. პარასკეის კრებაზედ ოთხი კანდიდატი წარმოადგინეს. მათში მხოლოდ ერთი ერთა ჩვენი ქვეყნის "შეილი, ბ. არდასენოვი (ოსთაგანი), რომელსაც უმადლესი სასწავლებელი აქვს გათავებული და როგორც სასწავლებელს მებადრეთა სკოლისას კარგი სახელიცა აქვს მოპოვებული. თუმცა ოთხი კანდიდატი წამოყენეს, მაგრამ ბ. მზრუნველმა გამოაცხადა, რომ მე მაინც კლაუსენს ვარჩევ არდასენოსესა და სხვებსაცა. ბ. ყორღანოვს გვერები ცოტა ეშლებოდა ლაპარაკის დროს და არდასენოვს არდაზიანს არჰქმევდა.

უყარის კენჭი და არდასენოვს ოართ მეტი მოუვიდა კლაუსენს უნდა. რა თქმა უნდა, ამორჩეულად არდასენოვი უნდა ჩათვლილიყო, მაგრამ ბ. მზრუნველმა კიდევ განიფორა, რომ რაკი კლაუსენი არა სურთ და ორ პარტიად ვაიყო საზოგადოება, მე უფრო მიიტქვამს მზრუნველობაზედაო. კრების თავმჯდომარეც დათანხმდა, რომ რადგან განსხვავება სულ ორი კენჭი არის, იმიტომ მზრუნველს უნდა მივანდოთ ორთა შუა ამორჩევას. ნეტა ვიცოდეთ, რამდენი კენჭით უნდა ყოფილიყო განსხვავება, რომ საზოგადოებას ნება ჰქონოდა მოეთხოვა იმის ვარდაწყვეტილებისათვის პატივი ეცათ?!.. ამ საიტყვებს შემდეგ კრებამ მორჩილად თავი დაბარა, „გამარჯვება“ კლაუსენს დაულოცა და პასუხის-გებაც ბ. მზრუნველს აკისრინა, მაგრამ ამის-სთანა საოცარი ბოლო მოსალოდნელი არ იყო, თუ ჩვენი საზოგადოება, მარტო სამეურნეო კი არა, მთელი საზოგადოება—თავის მოვალეობას გულგრილად არ ვაყოობოდეს და თავის საქმეების გაგებნასა და მოვლასა ცდილობდეს.

* * *

სკოლა, სასწავლებელი კარგი რამ არის და მრავალ მოწოდებს გზაზედ აყენებს, აბედნიერებს, ცხა-

ერებაში ბურთის ვასატანს იარაღს ანიჭებს. მაგრამ თუ სკოლის გამგეთ თავიანთ ვალი რიგინად. არ ესმით, ვინ მოსთვლის, მაშინ სკოლას რამდენი ზარალის მოტანა შეუძლიან. რამდენი მავალითები ვიცი ჩვენ და მკითხველებსაც მოვაგონდებთ, რომ ბავშვი მასწავლებლის უწყალობისა და თავის მოვალეობის გაუგებრობის უწყალობისა საუკუნოდ გაუბედურებულიყო. როცა მასწავლებელი თავის თავს ბატონად წარმოიდგენს და რაკი როზგის ცემის, ან სხვა სასჯელის ნება აღარა აქვს, როზგების მავიერად „ნუ-ლებსა“ და „ედინიცებას“ ხმარობს, მაშინ ჰქვება ის მეგობრული კენჭობი, რომელიც მასწავლებელსა და შევირდს შორის უნდა არსებობდეს და არსებობდეს კი ისე, რომ, რასაკირველია, ამით კლასის წესსა და რიგს, დისციპლინის არ აწნოს.

რომ დღესაც ამისთანა მასწავლებელი მრავალია, ამტკიცებს ამ დღეებში გამოცემული ცირკულარიი სახალხო მინისტრისა მიმართული გიმნაზიების უფროსებისადმი. ცირკულარიის გამოცემის მიზეზი ის იყო თურმე, რომ ერთ გიმნაზიაში თითქმის მთელი კლასის მასწავლებელმა „ნულები“ და „ედინიცები“ დაუსხა; ცირკულარიი ამის შესახებ ამბობს:

ის ნიშნები, რომელთაც კლასში მასწავლებლები უსმენ; ხშირად არ შეუფერება სამინისტროს მოთხოვნილებას და მისგან დადგენილ წესს... ზოგიერთ მასწავლებელს ჰგონია, რომ იმის მოვალეობა მარტო ის არის, გაცეთილი აუხსნას, მასუკან ახსნილი გამოჰქობიხას და სკოლა კერძალში ნიშნები დასხას. თუ შევირდებიც უნდა სწავლობენ, მასწავლებელნი არავითარ პასუხის გებას არა ჰისრულობენ და ეს პასუხი კი უმაჯრესად მასწავლებელს აწევს, ამის გამო თითონ მასწავლებელი უნდა იცავდეს ნიშნების გამოცვლას, ე. ი. ასწავლის შევირდს თვითონ გაცეთილის დროს ის, რაც არ იცის.. თუ მასწავლებელი ჰქობიხა ერთს, ორს, სამს, ათს შევირდს და პასუხს კი არ იღებს, ცხადია, რომ შევირდებში გაცეთილი არ იციან რაღაც მიზეზის გამო, რომელიც კენება სრულიად იმით ნებაზედ არ არის დამოკიდებული. ცუდი ნიშნების დასმის მაგიერად ამ შემთხვევაში მასწავლებელი მოვალოა, გაცეთილი ხელმეორედ განიფოროს კლასში...

ეს ყველა-ცხადი ჰეშმარიტებაა და მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ ამისთანა საანბანო მოვალეობას მოგონება და ჩავიგონება აკისრებთ.

* * *

სასწავლებელი ყმაწვილებს ასწავლის, მაგრამ სიბერემდე კაცს სწავლა არ მოსკარბდება და დიდებისათვისაც მართლა კარგი სასწავლებლები მოუგონიათ და დაურქმევით მათთვის საბჭოები, რჩევები, კრებები და სხვანი. აი, მავალითად, ტფილისის ქალაქის საბჭო, რომელსაც მთელი ტფილისის საქმეები ხელში უჭირავს და მათ ვანავებს,—რამდენს

საყურადღებოს, რამდენს ცხოვრებაში გამოსაყენებელს ცოდნას შეგვიძენს, თუ თვალ-გაფაციკლებით ეძებებით და ყურს არ მოვეუყრებთ მასში მომხდარ ამბებს. შემდეგისათვის ვეცდებით ცოტა უფრო ერკვალად გავაცნოთ „კაილის“ მკითხველებს ტფილისის სამკლის მოქმედება. ამჟამად კი შევცხებით იმას, რაც წარსულ ორშაბათს მოხდა. გატყეილი უნდა სთქვას კაცსა, ამ სამკლის ზვერი სამსახური მიუძღვის ქალაკის წინაშე, მაგრამ ზვერი იმისთანა ნაკლიცა აქვს, რომელიც იმის სამსახურს თითქმის მთლად აქარწყლებს. აი, მაგალითად, ჩინებული აზრი წარმოითქვა ხმოსან ბ. ნიკოლაძისგან წარსულ სხდომაზედ. ეს აზრი სამკლიმაც მიიღო, მაგრამ სანაშრომისა ვდებთ, რომ ამ ჩინებული აზრის განხორციელებას გამგეობის უყურადღებობის გამო, იქნება მომავალ საუკუნეშიც ვერ მოვსწროთ.

აი, ეს აზრი.

ჩვენი დედა-ქალაქი გარშემო მთებით შემოზღულდულია; ყოველ დიდ წვიმის დროს, ან თოვლის გადნობაზედ, მთებიდან ნივალეზა მოდის და დიდ ზარალს აძლევს როგორც ქალაქს, ისე იმის მცხოვრებლებს. ზაფხულობით კი წყალი ხშირად თვალით დასანახად გვენატრება. აი, ამ უსწორ-მასწორების ასაცილებლად ხმოსანმა ნიკოლაძემ შემდეგი წინადადება შემოიტანა: ორმოცი თომანი გადაედოთ ტფილისის გარემოების გასაწინჯად და გამოსაკვლევად, და თუ ადგილ-მდებარეობა ნებას მოგეცემს, ხელოვნურად ტბები შეექმნათ გარშემო მთებზედ, რომ ამ ტბებში წვიმისა და თოვლის წყალი დაევაფოთ ხოლომე და როცა დაგუქრდება ეს წყალი ზოგი ტფილისის გარშემო მთებზედ ტყეების გასაწინჯად ეიხმართ, ზოგი ქუჩების მოსარწყავდაო. რა თქმა უნდა, აზრი ჩინებულია, მაგრამ აზრს შემუშავება უნდა, განხორციელება ეპირება და ეშიშობათ, ვი თუ ჩვენი გამგეობის ხელში აზრი აზრად დარჩეს და ფული კი უნაყოფოდ დაიხარჯოს.

* *

ერთი წერილმანი საქმე კიდევ გარდაწყდა ორშაბათის სხდომაზედ. თ. ივანე მუხრანსკის მადათოვის კუნძულზედ, კუკის ხიდ დასწერივ, ცარიელი ადგილი ეკუთვნის და ამ ადგილზედ მოუწადინებია უბრალო ფარდულების აშენება. შენობის პლანი ქალაქის გამგეობას უნდა დაემტკიცებინა. მაგრამ რადგან ამ კუნძულზედ ჯერ რივიან პლანზედ ქუჩები არ არის გაყვანილი, გამგეობას ნება არ მიუცია თქმული შენობებისა. თ. ი. მუხრანსკის პირობა დაუდგია, რომ თუ ქუჩების პლანი მოითხოვს, ხელ-წერილს გაძლევთ ჩემი შენობები მაშინათვე ავალავო, რამწაშს გამგეობა მოითხოვსო, მაგრამ ამასაც არ გაუჭრია. გამგეობა რალაცა დაემტკიცებელ პლანზედ აფუძნებდა

თურმე თავის უარს და უნდოდა თ. მუხრანსკისა. ჩაეჭრა მიწა ერთ მხარეს და მეორე მფლობელისთვის მიეცა, რადგან მტკვარმა ამ უკანასკნელს ერთი ნაჭერი მიწისაწარმოვა. ვამიზრთა დევი-დარაბა, ორი წელიწადი გავრძელდა, შენობების საქმე დაიქაშა და თ. მუხრანსკიმ, რომელიც იმისთანა პირებს არ ეკუთვნის, რომ დაეზავრინოს ვისმე მტკვრის გემგავების გამო სხვებისაზრალი უზღოს, საჩივარი სამკლიმ, შეიტანა და თავის ადვოკატულ თან მიადგენა. სამკლიმ განიხილა ეს საჩივარი, სწრა გამგეობის უარის უსაფუძვლობა და თ. მუხრანსკის მისცა ნება შენობების აგებისა მისგან დადებული პირობით.

თ. მუხრანსკიმ გზა იპოვნა თავის გაიყვანა, სიძარითლე აღადგინა, მაგრამ ვისა აქვს შეძლება და მოკალთობა, რომ ამისთანა უკანონობა სდგენოს და თავიკი უფლება დაიცვას! იმავე კრებაზედ ხმოსანმა მ. მაჩაბელმა რამდენიმე ღარბ-ლატაკის მაგალითი დაასახელა, რომელიც გამგეობას იმავე მოჩვენებულის და დაუმტკიცებელი პლანის გამო სულით ხორცამდე მაგრამ დაულუბავს ვინარის ამის გამოკითხი, ვინ არის მათი მოსარჩლე, ვის შეუძლიან ყოველთვის ადვოკატების დაქირავება და უსამართლობის აღაგმა?

ჩემს მემორარს



ერთს ტავში ვყოფილვართ მოხრაკულნი...
 ერთი ცეცხლი გეწვევს ორივეს მე და შენ,
 ერთს ნადეღოს ესვამთ, ბელისკან დაზარულ-
 ეიტანჯებით ერთნაირად მუდამ ჩვენ!..

[ნი,

ორივე ერთ მსხვერპლი მუხთალ სოფლისა,
 სად სინილის სძინავს დიდი ხანია;
 სადაც გრძობა წმინდა სიყვარულისა
 მხოლოდ მგოსანთ სიმღერის სგანია;

სად სიძარითლე აღარ მოიპოვება,
 სად ნამუსი სასაცილოდ გამხდარა,
 აღმოფხვრელა სადაც პატრიონებმა;
 სადაც ყველა თვის თავს ცეცხს, სხვას არა;

სადაც უძღურთ აღარა აქეთ პირში ხმა,
 არიან არის, მათზე ზრუნვა დიწყოს,
 სად მძას არ შურს გადაყლაპოს თვისი ძმა,
 ოღონდაც კი თვითონ კუჭი გაიძღოს!..

მემგობარო, ჩვენ მაინც ხელი მიხსციეთ
 ერთმანეთს და დემობილდეთ ზღაბრულად,



ჩაენერგოთ ჩენი აზრი გულს მტკიცედ და ეიბრძოლოთ იმისთვის გულ-დაგულად.

სხვა, ეინც ენახოთ, ჩენებრ ტანჯულ-გვემულნი, მოეიწიოთ, გვერდში ამოეყენოთ და შევეროდეთ მშურად გადახეულნი... სანამ სული გვიდგას, არ მოვიცენოთ!

ან მოვიკლათ, ძმაო, ჩენი წყურვილი, ან თეთი მოვეკლეთ, მოვეკლეთ მამა-პაპურად; ანუ განვიხორციელოთ სურვილი, ან შევსწიროთ მას თავი მამატურად!..

მაშ, პა, ძმაო, ერთმანეთს ხელი მივსცეთ, დაემპობილდეთ, დავეგაბრდეთ ზღაპრულად; ჩაენერგოთ ჩენი აზრი გულს მტკიცედ და ეიბრძოლოთ იმისთვის გულ-და-გულად!

დღუბ მგერელი

წერილი ამბებში

მგერელის გასულს პეტერბურგში იქნება მხატვრობითი გამოფენა. ტფილისიდან ბ. ბაშინჯალიანს მიაქვს თავის ახალი დიდი ნახატი, რომელიც წარმოადგენს მცხეთის მიდამოს შემოდგომის ღრუბლიან ღამეში, როცა მთებზე ღრუბლებიდან გამოსჭერტს და მტკვარს ანათებს.

მ.წ.

ქუთაისიდან გამოუგზავნიათ 29 მანეთი მოავალ ქართველთა დედათა სკოლის სასარგებლოდ.

მ.წ.

სასურველია ჩენმა სამკურნალო საზოგადოებამ დაბეჭდოს მდამიო ხალხისათვის დარიგება "შესახებ ზოლერისა, რადგან შარშან ჩენ თვითონ დამსწრე ვიყავით, რომ მაშინდელი დაბეჭდილი დარიგება სოფლის მცხოვრებლებისათვის შეუფერებელი და გამოუდგებარი იყო, როგორც ენის შესახებ, ისე შინაარსის გაუფერებლობით. მაგალითად დარიგებაში ეწერა: „აკროშკა და ჟინვგრეტი“ გაწყეთო. სად გლეხის ცხოვრება და სად აკროშკა-ვინვგრეტი. სოფლელები ხუმრობდნენ, ეგ რაღაც აკროშკა-ვინვგრეტი სულიერი გახლავით, თუ უსულიო.

ბორჯღი დრამა 4 მოქმედებათ

თ. სუმბათიშვილისა,



მთავის იანერის 2 ქართულს თეატრში ბ. ავალიშვილის საბუნებისად წარმოადგინეს ბორჯილი, შესანიშნავი დრამა პეტერბურლის ცხოვრებიდან. ამ დრამამ, მისმა ცხოვრების სინამდვილემ და თვით ღრმა აზრმა დაგვიმტკიცა დიდი დრამატული ნიჭი სუმბათიშვილისა, რომელიც დღეს გამოჩენილ დრამატურად ითვლება რუსეთის მწერლობაში და ღირსეულადაც.

შინაარსი დრამისა დაკანაქულია მეტრამეტე საუკუნის საეპიკურ-ეპოპურ ცხოვრების მოვლენაზედ — ცოლ-ქმრობის დამოკიდებულებაზედ. საქმე ის არის, რომ კაცობრიობის გონება მეტად განვითარდა. განთავისუფლდა კაცის პიროვნება ყოველნაირ ძველ ბორჯილისაგან, რომელიც საერო და სახელმწიფო წესწყობილება, კანონსა და სჯულს განკვირებული კაცის ცხოვრებაზედ და მის კაცობრიულს დამოკიდებულებაზედ დაედგა. ამასთანავე საზოგადოებრივად დინამური ქალის პიროვნებამ მეცნიერებამ და საზოგადო განათლებამ გამოიყვანა ოჯახის საცნიდან და დუხანლოვამ მამაკაცს აღიარა დედაკაცის უფლება თანასწორად მამაკაცისა, დედაკაცი შეიქნა სრული თავისუფალი მოაზრე, თავისუფალი მოქმედი და მამაკაცის ამხანაგი საერო სარბიელზედ. მაგრამ ასეთმა განთავისუფლებამ მაინც ეერ იხსნა ის ამ ცოლ-ქმრობის წესის ბორჯილისაგან, რომლითაც უმეფელესმა დრომ ხელ-ფეხით შესქედა დედაკაცის კატორღისებამ ცოლ-ქმრობაში. ის ცოლ-ქმრობითს დამოკიდებულებაში არ არის ისეთივე თავისუფალი მკრანობელი, მოაზრე და მოქმედი, როგორც შეფერება დღევანდელს გონება-განვითარებულის კაცობრიობის ცხოვრებას და, აი, ამის გამო ამ დამეფლებულის შეუღლების წესის ბორჯილით იტანჯება, როგორც მამაკაცი, ისე დედაკაცი. აი, საგანი სუმბათიშვილის დრამისა. როდესაც თქვენ უყურებთ სცენაზე ერთი მხრით უზნეო მფულდეს, რომელსაც ქმარშვილი დაუფლიდა და გადაყოლია ყოველად მაროტს კაცს, და მეორე მხრით კეთილშობილს ქმარს და მამას დედისგან მიტოვებულის შვილისას, ძალა-უნებურად გულში გავივლებთ ეს აზრი: აბა, რა ღირსია ეს გარყვნილი დედა-კაცი ამ კაცის მეფლობისა და რატომ არ აძლევს იმათ კანონი ადგი-

ლად განქორწინების ნებას? ნუ თუ მფლავლობის ბორკილით უნდა დატანჯონ იმათ ერთმანეთი? რა სამართალია? ეს საკითხაზე კიდევ უფრო მწვავედმა თქვენს გონებაში, როდესაც სცნაზე ხედავთ ზნეობით, გრანობით და მოვალეობით გამსჭვალულს მეორე ნამდვილს დედას მიტოვებულს შვილისას, თუმცა კანონის მოთხოვნისთვის იგი დედად არ აღიარება. ზრალი არ არის, ეს მეორე ქალი ნამდვილი მფლავი არ იყოს იმ გულწრფელის კაცისაო, რომელსაც მართლა და შვილის პატრონობის გულისთვის შეუწყარვებია ეს ჩინებული დედობრივი გრანობის დედაკაცი?..

ამ სახით სუბმათივილომა თავისი დრამით პირდაპირ აუხსნა მეცხრამეტე საუკუნის კაცობრიობას, რომ დღევანდელი კანონი და წესი კოლექტივის ნამდვილი ბორკილია, როგორც ქალისათვის, ისე კაცისათვის და არ შეეფერება არც მათს განათლებას, არც მათს გონიერებას. მაშასადამე იგი უნდა შეიცვალოს ამ დროის შესაფერად...

ქ. ავალიშვილისამ ჩინებულად დაასურათა სცენაზე სერგეი ფოლინცევის მფლავის ნინოს როლი. ქ. მინარაოვისას ეტყობა ნიჭიერება. თვით სერგეი ფოლინცევის როლში მოსაწონი იყო გუნია: საზოგადო ქალმა და კაცმა ყველამ მწყობრად ითამაშა ეს დრამა და საზოგადოებაზედაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მხოლოდ ე. აბაშიძემ ვერ წარმოგვიდგინა კოტლად გულქვა და ზორბიტი გიორგი პროპორციის ეინაობა. არც იმისი საქმეა ასეთ როლებში გამოსვლა.

„ბორკილის“ წარმოდგენამ ცხადად დამატკიცა, რომ ჩვენს ქართულს ტრუპას აქვს სიკოტლიოსა და ნიჭის ნაბერწალი; კარგადაც თამაშობს, როდესაც იგი გრანობს თავის როლებში ნამდვილს ცხოვრების სურათს. მაშასადამე ერთხელ კიდევ ეუბრჩევთ მას მიაქციოს უფრო დიდი ყურადღება ისეთს პიესებს, რომელშიაც ნამდვილი კაცის ცხოვრების მაჯა სცემს, რომ თანდათან შეაყვაროს სცენა ქართველებს და თვითონაც უფრო მეტი ყურადღება და პატივი დაიმსახუროს. რაიცა შეეცება ქართულს თარგმანს, ენა ერთობ შეუფუჭავებელია და ნამდვილი ქართული კოლოცა არა აქვს. თვით მოთამაშებმაც უფროხვეთ სიტყვები თანასწორი ხმის დაკვირვით გამოთქვან და დაბოლოვებას ნუ ჰკვიცენ.

თოფისა და თოფის წამლის შემოღება

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ა შ ი

წართლის ცხოვრება გვიამბობს პირველ შემთხვევას თოფით ბრძოლისას მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს. მწიგნობრე საუკუნეში დიდმა მოლოზამ გიორგის სააკანძვესწვეტა ოსმალოს ჯარის ღმრის თოფი, როგორც ახალი ბრძოლის იარაღი, მხოლოდ რჩეულს ლაშქარს მფეფსას ჰქონია. მაგრამ ჩვეულებრივი იარაღი მაინც ჯერ კიდევ შეიღდ-ისარბი, შუბბი, ლახტი, აფთი, ხმალი და ხანჯალი ყოფილა. ქართველები შეიღდ-ისრბი ოპობდრე მეთერამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდის და შემდეგაც მხოლოდ ირაკლი მეფის დრო შეიქნა ახალი ეპოქა, როცა შეიღდ-ისრბი ბრძოლა უკვე გადავიარდნილა ქართვლებს ჯარში. მაგრამ მთიულნი კი ამას შემდეგაც ჯერ კიდევ დიღბანს იბრძოდენ შეიღდ-ისრბითა. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს თუში, ქისტ, ღლიღვი და სენარ ისეე მამა პაპურს შეიღდ-ისარს ხმარობს. მთაში ეს ძველი იარაღი დარჩენილა 1840—50 წლამდისაც. ამის ცხადი დამამტკიცებელი საბუთია „კეკლის“ მესამე ნომერში დახატული გროვა მთიულებსია, რომენიც შეტაკებთან რუსის ჯარს, შეიარაღებულს შუბბიან თოფებითა. როგორც თვით ნახატადან ჩანს, მოშვილდისრბი ვერ გამაგრებთან თოფიან და შუბბიან მეორისარხანს და გამოქვეულან, თუმცა კიდევ მწნედ იბრძვიან და ცხენ-და-ცხენ ესვრიან ისრებს მათ უკან მომდევარს რუსის ჯარს. ეს ნახატი, გადმოღებული ტომოფე ბელოსის აღბომიდან, ძალიან ძვირფსია ჩვენთვის, როგორც დამამტკიცებელი საბუთი ძველის ისტორიკოსებისა—სტრაბონისა, ქსენოფონისა და ტაკიცისა. როცა ეხედავთ ერთი მხრით ამ მეცხრამეტე საუკუნის მებრძოლ მთიულთა ნახატს, მათს სახმედრო ტანისაცმელს და სახმედრო იარაღს, უნებურად ერწმუნდებით, რომ უძველესი მისისტორიენი საბრძოლენისა და ორბისა არა სტყუიან და ნამდვილს აღწერილობას გვაძლვენ მაშინდელის ჩენის ქვეყნისს.

* * *

წავი, „ნანიან“ ხალხს მათ უმღვრონ, ეინც დაძინებას იმას უპირებს, ეინსაც ეშინის მოძრაობისა, ეინცა მშვიდობას თავისთვის ეძებს.

მე კი მოემართავ ჩემ ქნარს ერისთვის, რომ მას დაეფურთხო განცხრობით ძილი; გავაგებნიო, რაც რომ ცული სჭირს და ევარძობიზო წყლულთა ტკივილი!..

დუტუ მგერელი.



ფერდინანდ ლესეკი.

ფერდინანდ ლესეკი



ფერდინანდ ლესეკი უდიდესი წარმომადგენელი კაცი არის მეცხრამეტე საუკუნის განების გამჭრიახობისა, სიქედლისა, მხნეობისა და სიგმირისა. ის არის კაცობრიობის ნაბიჯის წინ წამდგმელი, საფრანგეთის მეცხრამეტე საუკუნის დიდება, ნაპოლეონ III-ის დროის მათობი, უძერიფასესი თვალი იმის გვირგვინისა.

ის დაიბადა 1806 წელს. ჯერ ოცდა ექვსის წლისა არ იყო, რომ ზნეობრივი და გონებრივი ძლიერებით უმეტელი მოვიდა ევგენიუმში საფრანგეთის საეღლოს მოხელედ. მან ვადააღო წარსულს საუკუნოებს კაცობრიობისა არწივის თვალედ და გაუცოცხლდა თვალწინ ოთხი ათასის წლის ევგენიუმის განათლება, როდესაც დიდებული ფარაონის ხომალდები დასცურავენ ნაბოტაელებისა და ფილისტიმელების მიწებზე გაყვანილს ზღვის არხში. მას წარმოუღდა იმ დროის ვაჭრობა, წარმოუღდა ტირი და სიდონი, ეს მაშინდელი კაცობრიობის წერტილი, რომელნიც აერთებდენ ვაჭრობით აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ინდოეთსა და ეგროპას; წარმოუღვენ ფინიკიელნი მებომალდენი, რომელნიც, დიდებულ ფარაონების მოსამსახურედ დაქირავებულნი, უზბოდადენ მემფისის ტახტს აფრიკის ქვეყნიებიდან ოქროსა და სპილოს ძელებს, კავკასიის ქვეყნიებიდან კალას, ცხენებს და მონებს, ბაბილონიდან სუნენლოვანს ამბრასა და მუშკას, ინდოეთიდან თვალმარგალიტს და მიხაკს. დღეს კი თვით ეს ზღვის არხი



შარლ ლესეკი

გაყამირებული იყო და ზედ განუვადი ქვიშის უდაბნოს მეტი არაფერი მოიძებებოდა. მოკლე სასიარულო გზა კაცობრიობისა დროთა-ვითარებას შეეკრა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნები ამის გამო ერთმანეთს დაშორებოდენ. უწინდელი წყარო ქვეყნის განათლებისა, ეს შუაგული წერტილი კაცობრიობის კეთილ-მფლობარეობისა და აღორძინებისა გასიბუღო იყო. ქვეყნის დამყარობნი ფარაონ-რამზესები გაქვავებულ იყვნენ და დროს საშემო კლდის სფინქსებად გარდაექმნა. იმ დროის ქვეყნის თვალნი ქალაქები თება და მემფისი — ეს მაშინდელი პარიკი და ლონდონი კაცობრიობისა, უდაბნო ღორღებად გამხდარიყო, რომლის გარემო კლდეებში მხოლოდ ლომნი და არწივნენ ბუნავაობდენ და ბუღობდენ.

„დიდი ცხოვრება; გონჯის ქანრი
ქათა მქუქუნსა თან ჩუღაი.
წყარო დამშრდა და უკვიდნარი
შლამით აჯილა, პირი უტვლია.“

ესეები რომ წარმოიდგინა ახალგაზდა გვირმა მეცხრამეტე საუკუნისამ, აღტაცებით შეიფრიალა მისმა გულმა და წარმოსთქვა: არა, ეს დამშრალი ცხოვრების წყარო ისევ უნდა გადმოვაქუბოვო; ძველი მიწვიწყებული ხმელთაშუა ზღვისა და მემფისული ზღვის არხი უნდა განვაახლო, ისევ უნდა დადუაახლოვო კაცობრიობა ერთმანეთსაო. ფარაონების ქვეყანა ისევ უნდა აღვაღვირო, მისი კლდის გაშემშებული სფინქსები ისევ უნდა ავაღაპარაკოვო. თქვა და კიდევ აღასთულა: ეს საქმე ფერდინანდ ლესეკისმა.

მართლაც რომ ზღაპრული გვირის ამირანის ამავეთა ლესეკისის ამავეთა.

ფერდინანდ ლესეკისის მამა გამჭრიახი წარმომადგენელი იყო საფრანგეთისა უცხო ქვეყნებში. რომ

ცა ტუნისის ელჩად იყო, იმან ითავა ალკირის ქვეყნის დაპყრობა და შეამზადა ეს დიდი საქმე თავის ქვეყნის სასარგებლოდ. იმისი შვილი, ფერდინანდი, ჯერ ცხრაშეტის წლისა ძლიეს იყო, რომ თავის ბიძის საქმეების მოწყობა იკისრა პორტუგალიის სატახტო ქალაქს ლისაბონში. 1848 წელს, როდესაც მეორე რესპუბლიკა დაარსდა საფრანგეთში, მისმა პრე-



ეიფელო

ზინდეტმა ლამარტინმა გაგზავნა ფერდინანდ ლესეპსი მადრიდს, ისპანიის ხელმწიფის კარზე, საფრანგეთის წარმომადგენელ მინისტრად.

ერთხელ იმას მოახსენეს, რომ ევეგნია მონტიჩო, რომელიც შემდეგ ნაპოლეონ III მეფულედ გახდა, მომზად და გივდისთო თქვენს დარბაზში, სამიშობო საქმეზე მოსალაპარაკებლად.

ევეგნია მონტიჩო შევედრა ლესეპსს ერთის აფიკრის დეფარეგს, რომელიც სიკვდილით უნდა დაესაჯათ და ლესეპსს, როგორც წარმომადგენელს საფრანგეთისას, შეეძლო მისი შევლა. მართლაც იმან მოახერხა ისპანიის მთავრობის წინაშე აფიკრის პატივება და ამით საუკუნოდ მოიგო გული ისპანელის მანდილოსნისა, რომელიც აღვიდა შემდეგ საფრანგეთის იმპერატორობის ტახტზე.

ორკა ნაპოლეონ ბონაპარტე შეიქნა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად და განიზრახა რომის რესპუბლიკის დამხობა, ფერდინანდ ლესეპსი გაგზავნა იქ საფრანგეთის წარმომადგენლად. პირველად ამ მძიმე მინდობილობის დროს გაიკენეს დაპალოვებით ერთმანეთი ამ ორმა კაცმა და ერთმანეთის გულში ამოიკითხეს თავიანთი დიდი წადილი. თურმე როგორც ლესეპსი, აგრეთვე ნაპოლეონ ბონაპარტე გატაცებული იყო ძველი ფარაონის ქვეყნების გაცოცხლების სურვილით და დიდებულორი სახელის მოხვეჭით. ორივეს გულში ედო სუეტის არხის გაყვანა და ინდოეთის ზღვასა და ხმელთა შუა ზღვის მოკლე გზით შეერთება. ნაპოლეონ ბონაპარტე ამ შემთხვევაში კიდევ უფრო შორს მი-

ზონაპარტს, რომ ის შეეწყვა მას საფრანგეთის რესპუბლიკის დამხობას და ლეო ნაპოლეონ ბონაპარტის გაიმპერატორებას საფრანგეთში. თავის მხრით ლეო ნაპოლეონმა სიტყვა მისცა ლესეპსს, რომ იგი მთელ თავის გულენას და საფრანგეთის ძალღონეს მოახმარებს მას სუეტის არხის გაყვანაში. ამით მკვიდრად დამაკავშირებელი კი იყო შესანიშნავი დედაკაცი, ევეგნია მონტიჩო, მოშავალი იმპერატრიცა საფრანგეთისა. 1854 წელს ლესეპსი განწადა ევეიპტეში და ლეო ბონაპარტი უკვე შეიქნა ერთად ერთი მმრძანებელი მთელის საფრანგეთისა და მთელის ევროპის სახელმწიფო პოლიტიკის მოთავე.

ლესეპსმა მოუტანა საჩუქრად მაშინდელს ევეიპტის გამგეს, ხედის საიდ-ფაშას, რომელსაც იგი ყმაწვილობაში ცხნევს ჯღამას ასწავლიდა, ახლად მოგონრანი რეგოლევი და მოავგონა თავისი განზრახვა სუეტის არხის შესახებ.

ერთხელ ის გაჰყვა ხედის სახმელრო ჯირითობაში. იმათ უნდა ერთი უღაბნო გადაეყოლოთ. გზაზე ლესეპსმა თვალი მოჰკრა არწივს, რომელიც ჰაერში მელიდურად დანაეარდობდა. „არჩიკა, თოფოი“, დაიყვირა მან; მოავლო თავის სანადირო თოფს ხელი და ცხენ-და-ცხენ ჩამოავლო არწივი. საიდ-ფაშა აღტაცებაში მოიყვანა მისმა სიმარდემ. მათ განაგარბეს ჯირითი, მაგრამ უტბად ქვის კედელი აეყუდათ წინ. ლესეპსი არ დაფიქრებულა, ჰკრა დევი თავის ცხენს და თავს გადაეყოლო ქვის კედელს. ამ ამბავმა განციფორებაში მოიყვანა ევეიპტის გამგე

დიოდა. იმას უნდა მოეორე არხის გაყვანაც ამერიკაში პანამის მიწის ყულზე, რომ შეეერთებინა დიდი არხით ატლანტიდის უკიანე დიდ უკიანესთან და მთელი ქვეყნის კაცობრიობა კიდევ უფრო დაეხლოებინა ერთმანეთთან ჩინეთიდან და ინდოეთიდან მოკიდებული ევროპა - ამერიკამდე. ეს ორი კაცი აქ შეთანხმდნენ ერთად. ფერდინანდ ლესეპსმა მისცა სიტყვა ლეო

და მისნი ხლებულნი. თვით საუკეთესო მოჯირითე არაბის ცხენოსნებმაც მოიხარეს თავი ლესეპსის წინაშე და აღმაინისაგან შეუძლებლად სცნეს ის გმირობა, რაც ლესეპსმა გამოიჩინა ამ მგზავრობაში. ხელიემა და მისმა ხლებულებმა მანძივ გადასწყვიტეს, რომ იმ კაცს, რომელიც ცის სიერტეში არწივებს ჰკლავს და კლდეებს თავზე ევლებოდა ცხენით, სუეცის არხის გაკეთებაც არ გაუტკირდებოდა.

როდესაც მივიდნენ უდაბნოში დანიშნულს ალაგს, ეგვიპტის ხელიემა მიიწვია თავის კარავში ხლებულნი და გადასწყვიტა მათთან ერთად, რომ ლესეპსს მიანდონ არხის გაყვანა. ის კი არა, თვით ეგვიპტის გამგემ მიიღო თავის თავზე ყოველი ხარჯი, რაც კი მოუწოდებოდა ამ არხის გაყვანის წინდაპირველ გამოკვლევისა. ხელიეისა და ლესეპსის მარაგებანზე თვით ოსმალეთის სულთანმა დასცა დასტურა.

ყველაზე უფრო სამძიმო შეიქმნა ლესეპსისათვის ინგლისის მთავრობასთან ბრძოლა. ფულის შოვნაში და სხვა ევროპის სახელმწიფოების დაშოშვანებაში იმპერატრიცა ევეგნია ჰყუდა მას შეურყეველ ბურჯად. ეინ წარმოიდგინს იმ მოხერხებებს და თავგამუტებას, რაც ლესეპსს, იმდროს ორმოცდაათის წლის კაცს, შეებოდა. თოთხმეტის წლის განმავლობაში ამ კაცის დეაწელი არ დასცხრალა და სუეცის არხი, ას სამოცდახუთი ეგრსზე მეტი სიგმა, გათხარა უდღესი ცეცხლის გემების სასიარულოდ. ხშირად მოხდებოდა რომ, წლითი-წლობამდე ოცო ათას ეგრსზე მეტს გაირბენდა სხვა-დასხვა ქვეყნებში საქმის მოსაწყობად: ხან სტამბოლიდან ინგლისში ამოჰყოფდა თავს, ხან ინგლისიდან ეგვიპტეში, ხან ეგვიპტიდან პარიჟში და სხვა. ბოლოს მაინც დაამთავრა საქმე. იმან შეაგროვა ხუთას მილიონზედ მეტი ფრანკი, გათხარა დიდი სუეცის არხი და შეაერთა ერთმანეთთან კაკობრიობის საკეთილდღეოდ ხმელთაშუა, მუწყანული და ინდოეთის ზღვები. მთელი ევროპა და აზია განცვიფრებაში მოიყვანა ლესეპსის გმირულმა მოღვაწეობამ. იმან ჩაბერა ძველს მკედარს ქვეყნებს: ეგვიპტეს, ასურეთს და პალესტინას უკუდაეების სული და განაკაცხლა ახალი განათლებული ცხოვრებისათვის. მაგრამ ეს გმირი არც აქ შენერდა. იმას უნდოდა მეორე საქმის განხორციელებაც—პანამის მიწის ყელში მეორე დიდი არხის გაყვანა, — რომელიც ეგრ შეიძლოა თვით იმპერატრიცამ ანაოლონ III-მ თავის ძვირეუბის დროს. პანამის არხის გაყვანისათვის მან შეაგროვა ათას ხუთასი მილიონი ფრანკი მთელი ქვეყნიდან ხელმოწერით და რადგან თვითონ მოუძღვრდა მოხუცებულობით, იმან მიიპატიცა ამ

საქმის დასამთავრებლად სახელოვანი საფრანგეთის ინჟინერი ვიფელი, ის ვიფელი, რომელმაც 1889 წ. პარიჟის მსოფლიო გამოფენაში მთელი ქვეყანა გაავიკრვა ას-ორმოცი საყენის სიმაღლე რკინის კოშკის აგებით. ამ კოშკს დაერქვა ვიფელის სახელი და დღემდის თოვლიან მცხრამეტე საუკუნის საკვირველებად. ვიფელი არც ნიჭით და არც გონების სიმკვირცხლით არ ჩამოუვარდება ფერდინანდ ლესეპსს; მაგრამ სამაგიეროდ ეს კაცი აღმოჩნდა ხორცის კეთილმდგომარეობის მიმდევარი. მისმა გაუშაძრობამ, მისმა ანგარების მოყვარებობამ უღროვოდ ჩააქრო ეს დიდებული საქმე და თვითონ იგი, ერთდროს ქვეყნისგან მოწონებული, რომლის სახელითაც თვით საფრანგეთი იქებოდა და იღიდებოდა მსოფლიოდ, დღეს შეიქმნა ქვეყნის მიერ განკიცხული, ჩამოვარდა დიდების ტახტიდან და დაჯდა სისხლის სამართლის სკამზე დამნაშავეთა სამოსლით შემკული, იმან არამც თუ თავის სახელი გაიფუტა, თვით ფერდინანდ ლესეპსის სახელიც დაამცირა და მისს გმირულს წარსულს მწიკელი მოაცხო.

შესანიშნავს ჩვენებას აძლევს სამართლის წინაშე ფერდინანდ ლესეპსის შვილი, შარლ ლესეპსი ვიფელზე და სხვა იმის გეარ კაცებზე, რომელნიც შავ ყორნებათ დასციენა პანამის არხის გასაყვანს ფულის და რამდენიმე ათი მილიონი შეუტკმით. როცა ობლადაციები უნდა გამოეცეკო, ამბობს შარლ ლესეპსი, აუარება ხალხი მოგვაწყდა; ყოველი მათგანი ითხოვდა ფულს ჯილოდ, სამაგიეროდ ჩვენც შეგიწყობთ ხელს, ჩვენც დაგებმარებითო. აბა, რა უნდა გვექნა, გამოუტყდელები ვიყავით, ჩვენც ვაძლევდით და ვაძლევდით. მაგრამ რა მოპირაოდა მათ გაუმაძღრობას.

— აძლევდით, მაგრამ ხომ იცოდით, რომ ის ფული თქვენი არ იყო, არამედ ქვეყნისა, რომელმაც მოგანდოთ თქვენ საქმის გასაკეთებლად, ჰკითხა მოსამართლემ.

— რა უნდა გვექნა? ამგვარს ქრთამებს დიდი ხანია შეჩვეულნი იყვენ ყველანი, ვინც ჩვენს საქმეში ერეოდაო, — უპასუხა შარლ ლესეპსმა მოსამართლეს.

ფრიად საგულისხმოა ჩვენთვის ფ. ლესეპსისა და ვიფელის სეგბედი. როგორც პირველი, ისე მეორე არიან თანასწორად შემკული ბუნებისაგან ნიჭით, მხნეობით და ვაკირეობაში ფულ-გაუტყებლობით. ორივე თანასწორი წარჩინებული სახელით და საქმით არიან გამოხულნი მსოფლიო, ასპარეზზედ თავიანთ ქვეყნის საღიდებლობით. მაგრამ მანინ როდესაც ფერ-



დინად ლეცესი გატაცებული იყო შხოლოდ ქვეყნის საკეთილდღეო აზრით და განცხრობით ცხოვრება არაფრად მიიჩნდა, ვიფელი კი ქვეყნის საკეთილდღეო საქმეს იმდენად ემსახურებოდა, რამდენადაც ეს საქმე სასარგებლო იყო იმის ჯიბისთვის, იმის პირადი ცხოვრებისათვის, იმის საკუთარ განცხრობისათვის. პანაშის საქმეში იმან თუთხმეტი მილიონი ჩაიღო ჯიბეში და ისეთი მაგალითი ჩათესა თავის თანამედროვე საზოგადოებაში, რომ მინისტრებიდან დაწყებული ხალხის წარმომადგენლებამდე ყველა მის მაგალითს მიჰყვა. ამანგაარმა პირადმა მამუქელობამ იმ ზომამდე დააბრმავა ვიფელი, რომ საქვეყნო საქმე გააფუჭებინა, სახელი წაუხდინა მის ქვეყანას და ზნეობითად დალუბა მეცხრამეტე საუკუნის შარავანდედ-მოსილი გმირი ლეცესი, ეს დიდება და სახელი საფრანგეთისა. მამასადამე რაც უნდა ნიჭიერი, მხნე და შესანიშნავი საზოგადო მოღვაწე იყოს კაცი, თუ რომ მას ზნეობა არ უფარვა და წუთის-სოფლის სიტკბოების ანგარიშით არის გამსჭვალული, ადრე თუ გვიან მისი მოქმედება სიკეთის მაგიერად ბოროტს შეამთხვევს ქვეყანას და მისი სახელიც საიტიცხველად დარჩება მომავალს შთამოვებს.

გ. წერეთელი

ისტორიული საკითხავები



მ დღეებში ბატონმა გორდანიამ დასტამბინა ვაზეთს «იერიანი» ისტორიული გამოკვლევა: «მოკლე ცნობანი ქართველთა მონასტრებზე აღმოსავლეთში» და სხვ. ვიდრე დაწერილებით გაეარჩევდეთ ამ თხზულებას, საქირაო ვთხოვით ბატონ გორდანიას მოგვცეს პასუხი შემდეგსა კითხვებზედ:

ა) რომელი ისტორიული საბუთით მტკიცდება, რომ მეფე მირიან გამგზავრებულიყოს იერუსალიმს და მის მგზავრობას გაუღენა ჰქონადეს ქართველ ბერების გამარაველებზედ?

ბ) რა წერილობითი საბუთით მტკიცდება, ვითომც მირიანის შვილს ბაქარს უყანასქნელნი წელნი თვისი ცხოვრებისა პალესტინაში გავტარებინოს და ხელი მოემართოს ქართველთა მონასტრებისათვის, ან ყოფილან კი იმის დროს იერუსალიმში ქართველთა მონასტრები?

გ) მართლაც ყოფილა თუ არა 399 წელს ქრ. შემდეგ ქართულ ენაზე სამოციქულო გადათარგმნი-

ლი და რა ასაგებით ყოფილა ეს სამოციქულო დაწერილი: მხედრულით თუ ხუტურით?

დ) რომელი ისტორიული საბუთით მტკიცდება, რომ მეოთხე საუკუნეში არაბულს ენასკად ყოფილიყოს სწავლა-მეცნიერება და ამ ენიდან ეთარგმნოსთ ქართველ ბერებს სამღვთა წერილი?

ე) ვარაზ-ბაქარიშვილმა მურვანოსმა მართლა ააშენა ჯვარის მონასტერი იერუსალიმში და რა წერილობითი საბუთია იმ დროისა ამ საგანზედ?

ვ) ტიმოთეს მოგზაურობა დიდი ხანია გამოცემულია პლატონ იოსელიანის მიერ და ნუ თუ ეს ბ. გორდანიამ არ იცის და თუ იცის, რად სწერს ისე, რომ მკითხველს აფიქრებინოს, ვითომც ეს თხზულება მას პირველად აღმოეჩინოს?

სურათები მეფეთა: მირიანისა, ვახტანგ გორგასლანისა, ბაგრატ IV და ლეონისა, რომელიც ტიმოთეს ხელით არის მის ხელნაწერში დახატული, პლატონ იოსელიანმა ამოაქრეგინა და ჩაურთო რუიისის მიტროპოლიტის იონას მგზავრობაში, რომელიც დაბეჭდა პლატონ იოსელიანმავე 1852 წელსა. რატომც ეს ვარემოება არ არის ნამდვილად ნაჩვენები ბ. გორდანიასაგან?

ზ) რა წერილობითი საბუთია იმისი, რომ ვედლებებისა ლეთის-მშობლის ხატზე დახატული მუხლმოყრილი მეფე-ბაგრატ III იმერეთისა არის და არა ბაგრატ V დიდი?

თამარის საყდარი

ქვეყანამ ვითრს ზენებით თამარი ამჯობინაო: მიუფლოდღილს, კლდის წვერზე, მას დაუნაშნა ბინაო. 1141



თა დღე იყო. გულის-ძგერით მივეშურებოდი რამდენიმე მგზავრის «თამარის საყდარისც», რომ ჩენის თვალითვე გვეწახა და შეგვემოწმებინა, რაც გავგეგონა ამ უცნაურ საყდარზედ, იმ უშველებელ კლდეზედ, რომელსაც თურმე ეს საყდარი შეილსავით მიხუტვინა და კიდევ უფრო უცნაურს «ინჯინერზედ», უბრალო რაველზედ, რომელსაც ამ კლდეზედ უგზო-უყვლოდ დაჩინილ საყდარამდე კიბე აუშენებია. გავგეგონა, რომ რაჭაში სოფ. შქმერსა და ბოყვას ახლო ფრიალო კლდის შუაგულში უღაგო-აღაგას უსსოვარ დროიდან საყდარია აშენებული და ამ სა-

ყდრამდე ადამიანის შვილი ვერა გზით ვერ მიღწევს. გაგვეგონა აგრეთვე, ხალხში თქმულება არის, ეთომ საყდარში თამარ მეფის კუბო ღვას და შიგ დიდებული დედოფალი ასენიაო; გაგვეგონა ისიც, რომ ერთმა უზარალო რაჭველმა, რომელსაც ბარისა და ნიზის მეტი ხელში არას ღროს არა იარალი არ სჭერია, ამ კლდეზედ მარტოდ მარტომ კიბე გააკეთა და საყდრამდე ავიდა. ვიყავით ამ ფიქრებით მოცული, მივიჩქარებდით ცხენებს და საყდრის ჩქარა ნახვის სურვილით გატაცებულნი აღარ ვაქცევდით ყურადღებას არც მშვენიერ მთის პაერს, რომელიც შუქერის არე-მარეს დაჰმერავდა, არც მრავალ-მგერად აყვავებულს მუხლამდე ამოშრომს მთის ზალახს, რომლის მსგავსს ბარში კაცი ვერა ნახავს, არც შუა ზაფხულში თოვლით დატვირთულს ახლო-მახლო მთებს, საიდანაც საამო ნიაფი გულს გვიგრიდებდა.

— შუა დღე მშვიდობისა, — შემოგვგახა ერთმა დაბალის ტანის კაცმა და ფეხ-მარდად ქვეითი ავიდევნა ჩვენს ცხენებს.

ჩვეუ, ცოტა არ იყოს, გვეუცხოვა ასეთი მისაღება. დილა, ღამე და საღამო მშვიდობისა კი გაგვეგონა, მაგრამ შუადღე მშვიდობისა პირველად მოესმა ჩვენს ყურებს.

ჩვენი თანა-მოგზაურიც უკანური კაცი აღმოჩნდა. ის იყო თეთი კიბის გამკეთებელი რაჭველი. ვიგეო რომ იმის ხელოვნების სანახავად მივიღოდით და წინამძღოლად წამოსულიყო. ფეხ-მარდს რაჭველს არ გაუჭირდა ჩვენ ცხენებთან მოყოლა და საღამომდე არ მოგვეშორებია. გვიწოდდა იმასთან საუბრის დაწყება, მაგრამ საუბრისთვის ვეღარ მოვიცალაეთ: მივადწიეთ ქვა-გახეთქილას, საიდანაც უეცრად ისეთი სურათი წარმოვივხიდა თვალ-წინ რომ გრძობა-გონება და გეტყვება და სხვა აღარაფრისთვის მოგვაცალა.

ზემო იმერეთიდან რაჭის დედაქალაქ ონამდე დიდი გზა მიმავალი და ეს გზა სხვათა შორის ერთს ალავს ეყება უშველმებელს კლდეს შეხედება. ეს კლდე რალაცა ძალას შუა გაუპია, შუაზედ გზა დადებულად და აი სწორად ამ ალავს ეძახიან ქვა-გახეთქილას. აქეთ-იქით აყუდებულნი კლდენი ჩარჩოს ხეებისავითა დგანან, თითქო მშვენიერის ნახატის შემოსახულად და მართლაც უეცრად ამ ორ კლდეთა შორის ისეთი სურათი წარმოვიდგებთ, რომელსაც აღარ გინდათ თვალი მოაშროთ. თითქო ძლიერის აშლილობის ღროს, როცა მთა-გორებს უზიდავი ქვესკნელის ძალა მალა ისროდა და ერთი-ერთიანეთს აყრიდა და აზვავებდა, ბუნება გამეშვებულის და საუკუნოდ დარჩნილიყოს ნიშნად უფსკრულს ძალთა არე-

დარებისა. მთა—მთას მოსდევს, გორა—გორას, ვაკეს თითქმის ეგრისად ჰხედეთ და შხოლოდ ორჯანამ უსწორ-მასწორო სურათის ზოლივით ნახუბი აქვს გაეულილი. ერთი ბუნებას გაუკვალავს და მასზედ მთა-გორებს შფოთიან რიონის ზვირთებს, მეორე არის ნაყოფი ხელოვნებისა, დიდი ფოსტის გზა, რომელიც მამისონის უღელტეხილს ქუთაისს უერთებს. ამ ერთ-მანეთთან გადახლართულ მთა-გორებში ადამიანს, სადაც მოუხერხებია, თავისი სადგურები მთის კლიტებისათვის მიუტყვას და წვითა და დავითი ცილილას უწყალო ბუნებას ორი მტკაცელი მიწა, თუ ნებით არა, ძალით მაინც გამოაცალოს. შორს, რიონსა და გზას იქით სჩანან თვალ-აუწლომელი კავკასიის მთები ისე ახლო, თითქო ხელი რომ გააწვდინოთ, შეგება არ გაგიჭირდებოთ. ჰხედეთ ბურუსში გახეულ მწვერვალთ, გრძობათ თითქოს მათგან მობერილი სიცივის ჭრუნტელს, თვალს გიტაცებთ ყინულის სპეტაკი მდინარე ორ მალღ მთის შორის ნელად და უჩინრად თაქვე დაბლობისაკენ მომავალი....

ქვა-გახეთქილადგან კიბემდე სულ სამ ეგრისამდე არის. გავედებით ისევე გზას და თვალს ვერ ვაშორებდით ამ მშვენიერ სანახავს, მაგრამ მეორეს მხრითაც, სხვა სანახავი გველოდა. ავერ ჩვენს გვერდით ხელო-მარჯენი უზარ-მზხარი განიერი ციკაბი კლდე აყუდა, რომელსაც ალაგ-ალაგ სიმაღლე 80 საყენამდე აქვს. ეს კლდე ისეთის პიტალო ქვისაგან არის აგებული, რომ ხელისმოსაკიდი არსად არის და ადამიანს მასზედ არს გზით არ ავსილება. კლდის ძირიდან ასე 12—14 საყენის სიმაღლეზე კლდე თითქო განგებ შოგინი შეწყვეულა, პატარა მოედანი გაკეთებულა და ამ მოედანზედა დგას საყდარი თამარისა თეთრი ქვით აგებული. საყდარი თითონ პატარაა, თითქოს ბანჩანგრული; ცალ მხარეს კარები აქვს მიმბული, რომელზედაც კოლტეცა სჩანს. შუაში პატარა ოთხ-კუთხი ფანჯარაა დატანებული. ცოტა მოშორებით, საყდრის სისწორებზედ მღვიმეებია კლდეში და ერთ მღვიმემდე საყდრის კარებიდან მარცხენი ბილიყო თითქოს გავლებული, რომელსაც ხარინებდა უზარალო ხეები აქვს გაყვობილი. ბილიც აშკარად არა სჩანს და შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ საყდრიდან ხალხი ოდესმე მღვიმემდე ამ ხეებზე გადიოდა.

რა ხელომა ააშენა ეს საყდარი და როდის არის აშენებული, არავინ იცის. ეს კი ცხადია, რომ მარჯენი კლდის წვერიდან ამ საყდრამდე ცალ-ბილიცა გზა მაინც უნდა ყოფილიყო და მასუკან ამ გზას ნიაღვარი ჩამორეცხდა. ახლაც ეტყობა ალაგ-ალაგ



ქვა გაბეთქოლა

ნაშთი ამ ბილიკებისა, მაგრამ მომეტებული წილი კი ისე კვალწმინდად არის ჩარეცხილი, რომ ვერას გზით კაცი იმ საყდარს ვერ მიუღდება.

მიუვალი შენობა, უხვედრი ალაგი ყოველთვის ხალხის წარმოდგენაში რაიმე ლეგენდას შექმნის და რაჟის ხალხშიაც ამ საყდრის მიუვალობას შეუქმნია თქმულობა, ვითომც საყდარში ოქროს კუბო იდბეს, თავსა და ბოლოს კელაპტრები ერთს და კუბოში თამარ დედოფლის გვამი ესვენოს. რაჟაში ამბობენ, ვითომც ორას-სამასის წლის წინად ვიღაც მესხი ჩაეშვათ ზემოდან თოკებით, მაგრამ საყდარში რომ შესულიყო და დიდებული სანახაი ენახა, დაბრმავებულიყო და მხოლოდ გამოსვლის შემდეგ კვლავ თავით სინათლე მოებოვა. უცუველია, რომ ეს სხვადასხვა თქმულობა აღუზნებდა ოცნებას კიბის გამკეთებელ რაჟელებსაც, სიზმრად მოაჩვენებდა ურიცხვ სიმდიდრეს და განძიულობას, საყდარში შენახულს, და მისცემდა ძალას იმისთანა საქმის შესრულებისათვის, რომელსაც უბრალო კაცი თავის დღეში ვერ შეძლებდა.

მართლაც, წელანვე ვთქვით, რომ საყდარამდე სიბი კლდე 12—14 საუენის სიმაღლეაო; მაგრამ ვიღაც კლდის ძირამდე მიხვალთ, რამდენი შიში და გულის ტრიალი უნდა გამოიაროთ: აღიხართ ფოფებით, ებლაუკებით ბუჩქებს და ზოგან ბუჩქების უქონლობის გამო ბალახებსაც კი, რომელნიც შეიძლება ხელში შეგრჩეთ და თავიქვე დაეშვათ; მაგრამ ზოგან ბალახიც არ არის და უნდა ნება-უნე-

ბურად გამოშვერილ წერილ კენჭებს მოეჭიდოთ, რომ კიბის ძირამდე ახვიდეთ. თუ ვინიცობაა ხელი როგორმე დავისხლტათ, შეიძლება სიცოცხლესაც გამოეხსალმოთ.

აი, მიხვედით ტანჯვა-წვალებით თვით კლდის ძირამდე; რას ხედავთ თქვენ თვალ-წინ? სწორე კედელსავეთ აყუდებულ ციკაბ კლდეს, მტკიცესა და მავარს, რომლის დასაშლელად ინჟინერების რთული იარაღია საჭირო. მაგრამ ამ უზარმაზარ კლდეზედ კიბის გაკეთებას შესდგომია ერთი უბრალო რაჟეული, ყოველ დღე უზიდნია ამ ჯოჯოხეთის გზით საზრდო და იარაღი, მშველელად და წამქებელად მხოლოდ თავისი ცოლი ჰყოლია და მარტო რკინის კეტით აღუჭურვილს დაუხერგტა ეს კლდე, შეუყრია შიგ ხის უბრალო ლართები, რომელნიც მეორე წყერით მიუყრავს კლდის გასწვრივ მიწაში ჩარკობილ ხეებისათვის და ამ გვარად ასულა თითქმის თვით საყდარამდე; მხოლოდ სამი თუ ოთხი საფეხური-ღაა დარჩენილი ზემოდ და ისიც ალბად განგებ, რომ სხვის არავის შესძლებოდა იქ ასეღა და თვით გამკეთებელს ხომა არ გაუჭირდებია იმ სიმაღლეზედ ხელის კიბის მიღება. კიბეზედ ასეღამ შეიძლება კაცს თავებურ დაახვიოს, მაგრამ ჩვენ მაინც ეპაირებდით შებედვას, რომ ერთს გარემოებას არ დაეშალა. მთავრობას კიბის ხაფანგზედ კლიტე დაუღვია და ხუთ საფეხურს ზვეით აღარავის უშევებს. კიბე თითონ პირველ შეხედვით სუსტი გვეგონებათ და დუნედ გაკეთებული, რადგან სულ უბრალო ხისაა და რკინა არსადა აქვს

ნახმარები, მაგრამ კარგად რომ გასინჯავით, ჰკვირობთ მის სიმტკიცესა და გამძლეობას.

უცნაური სანახაი უნდა ყოფილიყო ეს კაცი კიბის გაყვითების დროს: გაკურული ფრიალო კლდებზე, მძიმე რკინის კეტით ხელში იმისთანა სიმძლავრედ სადაც კაცის თვალი ძლიერ ასწებდება, ის თუ მოგაგონებდათ ბაბილონის ვოდროლის ამშენებელით, რომელიც, ნიც ქვემოთდგ ხმას ვერც კი აწუნდებდნ და მაღალ ზეცას უნაყოფოდ ეპოტინებოდნ.

რას ეძებდა ეს კაცი იქ, ფრიალო კლდებზე, თამარ მეფის გეგამს, თუ ოპრო-ეერცხლის სიმღიდრეს, ჩვენ ვერ გავიგეთ; ვერცარაფერს იმის არეულ, ქადაგის შესაფერ ლაპარაკიდან მივხვდით, მართლა ავიდა და ნახა რამ ამ საყდარში, თუ არა; მაგრამ როდესაც საღამო ყაზხედ სოფლად დაებრუნდით და გამოვეთხოვეთ ესრეთს გულის მიმტაც სანახაევებს, ამ მავალიით თან ეს აძარგება წამოვიღეთ:

მართლაც რომ შეუძლებელი არა ყოფილა რა და ყველაფერს შეიქმს კაცი, რწმენით აღტურვილი და შეუღრკველ სურვილით გატაცებული.

.. ა .

ს ა ძ ი წ ა ძ ი

(სურათი)

II

ქნებოდა შუალამის ორი საათი, როცა მთვარე ერთ ზაფხულის ღამეს მდიდურად გამოკურდა სქელ ღრუბლებიდან და ზეწარივით შექი ქვეყანას მოჰფინა.

ახალგაზდა ყმაწვილი კაცი ნელი ნაბიჯით მიიზღაწუნებოდა კუეის ხიდზედ. მის გამზდარ უღროოდ დაქუტუნეილ სახეზედ რადაც იღუმალი მღელვარება იხატებოდა. ფიკრებისაგან გაზურბებულ შეუბღზედ ღრმად ჩაებეჭდათ ზოღებს თვისი კვალი და დაღუმებული მიმკრთალი ტუჩები უცნაურად უფითოდა. ჩაიციუნულ, თითქოს ბურუსით მოცულ თვალეზიდან დრო-გამოშვებით გაყვითლებულ ლოყებზედ ცრემლები სცივოდა. რამდენისამე ნაბიჯის ვადაღამის შემდეგ, გვგონებოდა, უზღალემა ძალამ სტაცა მას ხელიო, ისე შეტორტმანდა და უტბად შეჩერდა. ეტყობოდა ცრემლებისა შერცხვა. უზიდან ცხირსახოკი სიბრახით გამოიგლიჯა და მიიფარა თვალეზზედ. შემდეგ უნებურად ჩაიყო ჯიბეში ხე-

ლი და დაქუტუნეილი წერილი ამოიღო. გულში სხვა შინლად ძგერა დაუწყო, ხელები აუკანკალდა. მიფარის შეტუხედ ადილოდ გაარჩია გარკვეული ხელი.

„საყვარელო ნინა, ვერ წარმოიღვენთ, თურა ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს“..

— „სახიზღარო“, წარმოსტევა ვანომ, ეს იყო სახელი ამ ახალგაზდა კაცისა. შემდეგ ისეე განაგრძო!

„უტურფესო ნინა! მე მქონდა შემთხვევა, გამეცნო თქვენი ქმარი. ვერ წარმოიღვენთ, მართლარა სულელი ყოფილა...“

— დაიღ, სულელი, წაიღოლელოდა ვანომ და განავრძო ისეე:

„მე თქვენ გავმერებთ, მე თქვენ მიყვარხარით, როგორც ჯერ არა ჰყვარებია არც ერთს დედისაგან ნაშობს ადამიანს...“

— დაიბ, შე, უსინიდისო, ცრუ!.. ეს შეუძლებელია, ეს მეტის მეტია!

აქ ვანომ ვეღარ შესძლო კითხვის გავრძელება; ჩალუნა თავი და გაშტურებით დაუწყო მტერა მტერის ტალღებს, რომელნიც ნახად შეთამაშებდნ მთვარის შუქს და ცბიერებით იწვეოდნ იმედ-მისდილ კაცის გულს თვის კალთებს ქვეშ, რომ საშუღამოდ ჩანთქათ მისისიკოცხლე და სიკოცხლესთან ერთად მოელოთ ბოლო ამ ტანჯუღა-ვაებისთვისაც.

— ოჰ დეგრო! ნუ თუ მართლა მლაღატობას ჩემი ნინა? მაგრამ არა... ეს შეუძლებელია. მაშ რას ნიშნავს მისი ქცევა. ოჰ, თუ ეს ყველა მართალი გამოდა, მაშინ... მაშინ.

აქ ვანომ შესწყეტა სიტყვა. რა უნდა ჩაედინა „მაშინ“, ეს თვით მისთვისაც ძნელი გასაგები იყო. ნუ თუ „მაშინ“ უნდა მოეცხო სიკოცხლე თავის ნინასთვის, რომელიც ისე გატაცებით უყვარდა, რომ უთმისოდ სიკოცხლე ვანოსთვის ყოვლად შეუძლებელი იყო. იმის გულისთვის არ იყო, რომ მან დასთმო ყოველი ბედნიერება, უარაჰყო დედ-მამა და ნათესავობა, ნუ თუ ვანო გაიმიტებდა ნინას... ის ვანო, რომელიც ისე სახიზღრად უყურებდა ძაღ-დატანებით სიკვდილს, რომ თვით უბრალო კაცის შეურაცხ-ყოფაც კი მოეღს მის არსებაში ჯოჯოხეთის ჰბადადა. „საყვარული“ და „თავისუფლება“ იყო უმთავრესი საძირკველი იმის სწავლა-მოდერებისა; მასზედ აეშენებინა მთელი ცხოვრების კანონები და ისე მტკიცედ იდგა იგი ამ ნიადაგზე, რომ ჯერ ვერაფერს გაკვირებას ვერ დაესვა მისთვის დიდი. მაშ რას ნიშნავდა შემპარწუნებელი „მაშინ“? ნუ თუ თავის მოკლას?... მაგრამ არა! არც ეს იყო შესა-

ძღვრული ეანოსთვის, რომელიც თავის თავს სრულებით საკუთრებად არა სთვლიდა. საყვარელი ცოლი, შვილი, სამშობლო, კაცობრიობა, აი, რა იყო იმისი სევანი, აი ვის ეკუთვნოდა იმისი გული და აზრი.

აგერ სამი ოთხი წელიწადია, რაც ეანო მზაველ ტანჯვას და ეავებს შემდეგ საყვარელი ქალი შეერთა. ამ დროს განამოღობაში ის სტებებოდა ოჯახის ბედნიერებით, შრომით და იმ იმედებით, რომელნიც ნათლად ეხატებოდნენ მომავალში. მაგრამ განგებას თითქო შემურდა ეანოსთვის ეს ორი წლის ნეტარება და სამგლოვიარო ზარი ჩამოუკრა. სიყვარულის და ჭკვის გამოამტყვევლო თვალები ღრმად ჩაუცივდა. ფიქრმა და ნადეგლმა აიტაცა მთელი იმის არსება. უწინაც ბევრი მწუხარება და ტანჯვა გამოეცადა ენას, მაგრამ არავითარს ტანჯვას და ეავებს არ შეუღრკა იმის გული არ უცვალა ფერი, ვერ მოუსპო გულში იმედი. მაგრამ ამ ერთმა საზიზარმა წერილმა კი სრულიად გამოსცვალა.

— იქნება იხსენ შემურდა ჩენი ბედნიერება, ხმის კანკალით წარმოსთქვა ეანომ და მიეცა სიამოვნებით შეხაევულს სავეჯო ფიქრებს.

მას კიდევ სრულიად ვერ დაეჯერებინა გული ნინას ლალატვლად, ისე გავიგებთ უყვარდა იგი, და კიდევაც ეს იყო მიზეზი, რამ გულში შეებარა ეჭვი წერილის სინამდვილისა. რამდენსამე ხანს იღვა იგი უჭრავად და ცრემლ-მორეული თვალები მიგუჟრო მტკერის ტალღებისათვის.

— ოხ, ღმერთო ჩემო, ეს რა მემართება, თავი სკდება, სკდება... ჩემო ნინაე, მოდი ჩემთან. მოდი ჩამოიხედე ჩემს გულში, მოაცხე მას დამამზივდებელი მალამო, ამოგლოჯე შენი მშვენიერი ხელით ამ გულიდან ეს გოჯობითური ეჭვი. დამიმტკიცე, რომ ცილი დაგწამეს. არა, შენ ეგ არ შეგიძლიან, მე ეცდები, მაპატიე.

აქ ეანომ გამწარებულმა დაქუტუნა წერილი და დააპირა მტკერში გადადგება, მაგრამ უტბად რალაც მოავგანდა და მუქარით უკანეე ჯიბეში ჩაიღო.

II

მთაწმინდის ერთი ვიწრო ქუჩათავანი მისცემოდა ტბილის ძილსა; შლოოდ ერთ ოთახიდან რომლის ფანჯრის დარბაზ ცოტათი ღია დარჩენილიყო, მოჩანდა სანთლის შუქი; ეს იყო ეანოს სახლი, სადაც უღმობღელი ბედი ისე განუთითხავად მიაქანებდა თავის მსხვერპლს.

— სანთელი შუა ღამის ორ საათზედ ამოგლეჯეთ წამოიძახა ეანომ წემდეგ მწარედ ამოიხიზრა და ცეცხლივით აენტო.

რამდენსამე წუთს შემდეგ მოისმა ზარის წყარუნი და ეანოს კარებში მიეგება იმერელი ბიჭი, რომელიც ეტყობოდა გაკვირვებით უყურებდა ბატონის მოულოდნელ მოსვლას.

ენაო ერთ წუთს შედგა, შემდეგ ხელი გაიქნია და მოუთმენლად გაეშურა საწოლისკენ, საიდანაც სანთელი გამობეჭუტავდა.

— ბატონო ნუ მიზრძანდებით...

მაგრამ ბატონის ყურეს ივანიკასთვის აღარ ეცალა. გულს საშინელი ძგერა გაჰქანდა, და ხელეში უნებლობით რაღასაც ეძებდნენ სიბნელეში. ეანომ ჩქარი ნაბიჯით გასწია იმ ოთახისკენ საიდანაც შუქი მკრთალად მოჩანდა.

— ოჰ! — გულმოსაკლავად წამოიძახა, რადესაც დაინახა უტბად ოდნე გადახილდო ფარდიან შემაძრწუნებელი სურათი. ციემა გრუანტელმა გაურბინა ტანში და ღონე-მიხილდი მოლად ცოცხლ სურათად გადაიქცა.

ბოლოს, თითქო გონს მოვიდა, მიიფარა თვალმებუდ ხელეში, ამოუშვა მწარე ქვითინი და გაშორდა ამ სანახავს. მას უნდოდა სამუდამოდ მოშორებოდა თავის ოჯახს; მაგრამ რალაც უხილავმა ძალამ ამოაყოფინა ეანოს საყვარელი ოთახში თავი, მხოლოდ იქ მოავგანდა მას, რომ იგი იყო მამა პაწია თამროსი, რომელსაც ტბილად და ნაზად გადელელა ქორფა თეთრი გული და უზრუნველად ეძინა.

ენაო უყურებდა ამ ბედნიერებით საესე სურათს და ეს უფრო უარესად ეწყრავდა მის გულს. ეანომ დაიხიკა თამროს წინ, მოჰხვია ნაზად მართოლვარე გულეში, მიიკრა მკერდზე და დიდხანს გიგივით ჰკოცნდა მის ქორფა და ჩილი გულს. ხან მიიკრავდა თამროს პაწია ტუჩებს თავის გახურებულ ლოყაზედ, ხან გიგივით ჩაიკრავდა გულში, ხან ისეე დაუშვებდა ძირს, დააცქერდებოდა. ბოლოს ისეე კანკალით მოჰხვევდა ხელებს, მიიკრავდა გახურებულ ტუჩებზედ და იმ ცეცხლის ალს, იმ გოჯობითურ წველებს, რომელიც ეგერ შემებრალვებლად მოსდებოდა იმის არსებას, თითქო ჰკლავდა ამ გიფურ კოცნაში. მაგრამ მალე სურათი გამოიცივალა: ეანოს სახე უტბად დაებრანქა და გაშტერებით დაუწყო თამროს ყურება.

სამრალე ეანომ მას მოეჩვენა, ეითომ თამრო მამას არ ეკუთვნოდა.

— ოჰ, ჯოჯოხეთო, კანკალით წამოიძახა ვანომ.

ბოლოს კიდევ ერთი დახედა თამროს და რაღაც გამოურკვეველ საბუთის ძალით თითქო დარწმუნდა რომ იმის ეჭვი მართალი იყო. იმის გულში დატრიალებულმა ცეცხლმა ერთხმად ამოჰკრა თვისი აგზნებული ალი და გაცოფებულ მხეცად გარდაჰქა აქამომდე მშვიდი და წყნარი ვანო.

— შორს შე ცოდეის შეილო! — შეწყვირა ვანომ და პატარა თამრო რაც ძალი და ღონე ჰქონდა კედელს მიანარცხა.

ვანო მკიერ ხანს გაშტერებული უყურებდა სისხლში მოსერილ თამროს და თითქო მოტყეებასა სთხოვდა მის წმიდა უფსუფრს სულს, მაიმის გამხეცების მსხვერპლს...

ბოლოს ვანომ უყურად გადაიხარხარა, წამოხტა და თავ-მიშველა გავარდა კარში...

III

იქნებოდა ღამის სამი საათი, ვანო დახეტიალებდა მტკერის ნაპირზე და რაღაც უცნაური ხმით ხან ხარხარებდა, ხან ტიროდა და ხან კიდევ ჩაფიქრდებოდა. მთავრეს თითქო თანაგრძნობის ნიშნად მოერადებინა ცოდელო ქვეყნისთვის პირი და ჩამალულიყო სქელ და შეეღრუბლებში, მხოლოდ აქა-იქა თითო ოროლა ვარსკვლავს ამაყყო თავი და მუწუხარედ დაჰყურებდა მის შემოიღლ სახეს. აღშფოთებული მტკვარი მიაქანებდა აღღვებულ ტალღებს, და მუქარის ნიშნად ხან-და-ხან ერთს სამინლოდ დაიშრიალებდა და კვლავ ისევ მოჰყვებოდა თავის წელს ბუტბუტს.

ღიდ ხანს არ გაველო, რაც ვანოს ჰყვებდა საყვარელი ცოლი, შეილი, ჰქონდა იმედებით სახეც გულ და ეს ყოველიფერი ერთ წამს გაჰქრა. ახლა დაბრუნდებოდა მარტო მარტო განუსაზღვრელ ბოლომით ატკუნებული, მის გულში „სიყვარულის“ მაგიერად ჯოჯოხეთის დაებულება.

ვანო წელი ნაბიჯით ავიდა პატარა კლდე პირზე, რომელს ქვეშ მტკვარი საზარლად მოჰქუხებდა. მან მიაპყრა თვალები ზეკას, გულ-საკლავად რაღაც წაიდუღებდა და, ის იყო, უნდა სამუდამოდ ჩამალულიყო მტკერის ზვირთებში, როდესაც, რაღაც ძალამ შეაჩერა; საზარლად გაიჭრიალა. გადმოეშვა უცბად რიყზე და ვაშტერებით დაიწყო ყურება სივრცეში.

— თამრო! თამრო! ჩემო საყვარელო თამრო, მოდი შეილო ჩემთან; ნუ უწყურები შენს უბედურს მამას! მოდი, მომხეცი, მოდი, მაკოცე შეილო... მე-

რამ, ნუ! ნუ მოხვალ, ნუ-მეთქი, შე ცოდეის შეილო... ოჰ! მომშორდი, ნულარ მტანჯავ, მაკმარე... თავი, თავი, ოჰ, ღმერთო... შორს წადით, მომშორდით... აღარ არის ქვეყანა... ვაჰქრა იგი... ოჰ! ჯოჯოხეთო! მდევნიან, მიშველეთ, რა გინდათ ჩემგან, თქვე ავაზანო, მე თამრო არ მომიკლავს, არა-მეთქი... შეხედეთ, ავერ იმისი მკვლელო, შეხედეთ, როგორ უსინცხილოდ იბრიაკება... დაბჭირეთ, მოჰკალით... აი, წერლიოც... მტარეაღწო! ნუ მაღრბობთ, ნუ მაღრბ... აქ ენომ საზარლად დაიწყო ხრიალი, თვისდა უნებურად, უცბად შევარდა კლდეზე და გადემშვა მტკვარში...

გ. კ. — შეილი.

რედაქტორ-გამომცემელი ახ. თ. — წერეთლძას

გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა ი ვ ე რ ი ა

გამოვა 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც მსურს დაიკეთოს გაზეთი 1893 წლისათვის,

მ ი ჰ მ ა რ თ ო ს

ტფილისში, ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზე, ვარანკოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინისკისეულ სახლებში, № 21, ბ) „ქართელთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზე, ავად-აწაურთა საადგილ-მამულა ბანკის ქარხანის გაღვრევაში № 102.

ტფილისის გარედ მცხოვრებთაუნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგი პირობებით:

Въ Тифлисъ въ редакцію газеты „ИВЕРІА“

გაზეთი წლით ღირს 10 მან., ნახევარი წლით — 6 მანეთი.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მტებელი იქნება, მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ზედრის ფულს პირდაპირ რედაქციაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათავეშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისას გამოცხადებულია ივერიის უკანასკნელ გვერდზე.